სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N80

ქ. ბათუმი 04 ივნისი 2019 წელი

ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ დიასამიძის სახით, "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი"-სგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენა (CPV კოდი 79900000, 79952000, 79952100; SMP190002428).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200 (ერთი ათას ორასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშფაქტურა) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 <u>მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 10 ივნისის ჩათვლით.</u>

4.2 მომსახურება ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს.

4.4 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.5 მომსახურება ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.6 შემსყიდველი უფლებამოსილია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ანიმაციური ფილმების ფესტივალი ,,ექო-თოფუზი''-ს ჩატარება;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ქეთევან დევაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

12. ინტერესთა კონფლიქტი
12.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდი"
ტელ: (0422)25-91-13, 25-93-27	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 19-31
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23	ს/კ 205230196
საბანკო რეკვიზიტები:	ტელ: +995 322 93 33 16
ს.ს. ლიბერთი ბანკი	საბანკო რეკვიზიტები
ს.კ. 248428385	ს.ს "საქართველოს ბანკი"
ბ/კ: LBRTGE22	ბ/კ: BAGAGE22
ა/ნ #GE88LB0120166231817002	ანგ. # GE57BG0000000307967800
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე ---------- (ხელმოწერა)	დირექტორი ზურაბ დიასამიძე ---------- (ხელმოწერა)

self governing unit of Khelvachauri municipality
2019.06.04 14:38:19 +04'00'

27/05/2019

ხარჯთაღრიცხვა

N	დასახელება	დეტალები	სულ თახა
მომსახურება: ანიმაციური ფილმების ჩვენება			
1	"ხაფანგი"	4'22"	140₾
2	"ცუგა"	2'08"	110₾
3	"ღამის სეანსი"	4'	150₾
4	"ველური დასავლეთი"	4'13"	160₾
5	"გოგონების მამა"	10'47"	230₾
6	"გვანცი"	5'40"	100₾
7	"მყვინთავი"	2'30"	100₾
8	"small talk"	2'	110₾
9	"ბაყაყი ხალიჩაზე"	3'	100₾
	სულ გადასახდელი		1,200₾

ა.ა.ი.პ "ანიმაციის განვითარების ფონდი"

ს/კ. 205230196

დირექტორი

ზ. დიასამიძე

N 1728-05
27/05/2019

1728-05-3-201905271236

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
განათლების და კულტურის სამსახურის
ხელმძღვანელის ქეთევან დევაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუმბერ,

მოგეხსენებათ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ახალშენის №1 საჯარო სკოლა წლების განმავლობაში აქტიურად არის ჩართული ანიმაციური ფილმების შექმნასა და მის წარდგენაზე, რომელსაც ორგანიზებას უწევს ააიპ ანიმაციის განვითარების ფონდი. ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია სამომავლოდ, რადგან ახალშენის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის შემდგომ შესაძლებელია დაინერგოს და შეიქმნას ანიმაციის ცენტრი.

მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსება აღნიშნულ პროექტში შეადგენს 1200 ლარს, რომლისთვისაც აუცილებელია გაფორმდეს ხელშეკრულება ააიპ ანიმაციის განვითარების ფონდთან. აღნიშნული ორგანიზაცია არის ექსკლუზიური უფლების მატარებელი საქართველოში.

გთხოვთ, დააწეროთ შესაბამის სამსახურს, რათა მომზადდეს ხელშეკრულება ზემოთ აღნიშნულ თანხაზე.

დანართი 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ქეთევან დევაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
განათლების და კულტურის სამსახური

ანიმაციის განვითარების ფონდი / Animation development fund
0179 თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 19-31
0179 Tbilisi, Chavchavadze Ave. 19-31
(995) 577 04 85 00
tofuzi2018@gmail.com
adf.ge

N1910

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს

მოგახსენებთ, რომ „ანიმაციის განვითარების ფონდი"-ს ორგანიზებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 2019 წელს ტრადიციულად, საქართველოს მუნიციპალიტეტებში გაიმართება ანიმაციური ფილმების მე-11 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი". ფესტივალი სტარტს აიღებს გაზაფხულზე ქ. თელავიდან, შემდეგ იგი იმოგზაურებს საქართველოს მუნიციპალიტეტებში და დასრულდება ქ.ბათუმში. ფესტივალი გასართობ-შემეცნებითი ხასიათისაა და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება: ვორქშოპები, მასტერკლასები, პრეზენტაციები, კინოჩვენებები, ზარაბან-შოუ, ვიქტორინები. ახალგაზრდების ჩართულობა მსგავს კულტურულ ღონიძიებებში მათში აყალიბებს კომუნიკაციის, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის საშუალებით ციფრული კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს, რაც დღევანდელ ახალგაზრდებს ჭირდებათ იმისთვის რომ გახდნენ კონკურენტუნარიანები თანამედროვე სამყაროში. დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენთვისაც მნიშვნელოვანია ეს ღირებულებები, სწორედ ამიტომ ჩვენი ჯგუფი მზადაა განიხილოს ნებისმიერი დეტალი იმისთვის რომ შედგეს ჩვენი თანამშრომლობა და მივცეთ ახალგაზრდებს საკუთარი თავის რეალიზების შანსი.

მოგმართავთ თხოვნით, 2019 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოთ ანიმაციური ფილმების მე-11 საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზის" ჩატარება ხელვაჩაურში და გაგვიწიოთ დაფინანსება 2700 ლარის ოდენობით.

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენი მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდებმა, მიიღონ მონაწილეობა ბათუმის დასკვნით ღონისძიებაში და თავად წარუდგინონ ვორქშოპზე შექმნილი ნამუშევრები ფესტივალის სტუმრებს, დაესწრონ ფესტივალ „თოფუზის" საერთაშორისო ღონისძიებებს, შეხვდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან თანატოლებს და ასევე უცხოელ რეჟისორებს, ანიმატორებს, მხატვრებს, და ა.შ. დამატებით შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ბიუჯეტში 1500 ლარი, რომელიც მოხმარდება თქვენი მუნიციპალიტეტიდან 10 კაციანი ჯგუფის ორმხრივ ტრანსპორტირებას ბათუმში და ჩვენი პარტნიორი მაღალი კლასის სასტუმროში საუზმით განთავსებას ფესტივალის პერიოდში, 3 ღამით.

ფესტივალზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ესტუმროთ ჩვენს ფეისბუქ გვერდს: www.facebook.com/TOFUZI

გთხოვთ გადაწყვეტილების შესახებ მოგვწეროთ პასუხი.

საკონტაქტო პირი - ანი გეჯაძე +995 577 048 500

პატივისცემით,

„ანიმაციის განვითარების ფონდი"-ს დირექტორი:

ზურაბ დიასამიძე

ზღვავს წევთ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
№ 14305/05
22 10 2018
ფურცელი 1 დანართი 1 ...

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 782
30/05/2019

ქალაქი ბათუმი

782-05-4-201905301555

ა(ა)იპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდი"-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-სა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის მელანო მამულაძის 2019 წლის 27 მაისის №1738-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდი"-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილებამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე ა(ა)იპ ,,ანიმაციის განვითარრბის ფონდი"-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაბამისი ღონისძიების გატარება.

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080149267184419

№ 2522 03 / ივნისი / 2019 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 30 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა SMP190002428 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდისგან" ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მომსახურების შესყიდვას (79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; 79952000 - ღონისძიებების ორგანიზება; 79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება), ღირებულებით 1200.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, „ანიმაციური ფილმების ფესტივალი" ყოველწლიურად ტარდება ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. იგი ხელს უწყობს ანიმაციის განვითარებას საქართველოში და უზრუნველყოფს ახალგაზრდა თაობის ჩართულობას ანიმაციური პროდუქტის შექმნის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ,,ექო თოფუზი - ანიმაციური ფილმების ფესტივალის სცენარზე" ააიპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდს" აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, რაც დასტურდება დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა N6885-ით (09.03.2017 წ.). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მხოლოდ ააიპ ,,ანიმაციის განვითარების ფონდს" აქვს ანიმაციური ფილმების („ხაფანგი", „ცუგა", „ღამის სეანს", „ველური დასავლეთ", „მამა", „გვანცი", „მყვინთავი", „small talk", „ბაყაყი ხალიჩაზე") ჩვენების უფლება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, „ანიმაციური ფილმების ფესტივალი" ყოველწლიურად ტარდება ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. იგი ხელს უწყობს ანიმაციის განვითარებას საქართველოში და უზრუნველყოფს ახალგაზრდა თაობის ჩართულობას ანიმაციური პროდუქტის შექმნის პროცესში. აღსანიშნავია, რომ „ექო თოფუზი - ანიმაციური ფილმების ფესტივალის სცენარზე" ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდს" აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, რაც დასტურდება დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა N6885-ით (09.03.2017 წ.). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მხოლოდ ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდს" აქვს ანიმაციური ფილმების („ხაფანგი", „ცუგა", „ღამის სეანს", „ველური დასავლეთ", „მამა", „გვანცი", „მყვინთავი", „small talk", „ბაყაყი ხალიჩაზე") ჩვენების უფლება.

შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის SMP190002428 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე